სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N02-02/112
დომენური სახელ(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

ქ. ბათუმი 23 სექტემბერი, 2017 წელი

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ქ. ბათუმი, აკ. მამია კომახიძის ქ. №119, ს/კ 245428265) წარმოდგენილი მინისტრის ავთანდილ მესხიძის სახით, (შემდგომში "რეგისტრანტი") და მეორეს მხრივ, შპს "კავკასუს ონლაინი" (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 160). წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი შანიძის მინდობილი პირის .ge დომენის ადმინისტრატორის ია ფერაძის (პ/ნ 01030011856 თანახმად 2017 წლის მინდობილობისა N 01-10/414) სახით (შემდგომში "ადმინისტრატორი"), არსებული მინდობილობის საფუძველზე "რეგისტრანტი" და "ადმინისტრატორი" შემდეგში ერთად წოდებულ როგორც "მხარეები", ხოლო ცალცალკე როგორც "მხარე", ვმოქმედებთ რა თითოეული ორგანიზაციის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ვებგვედრზე (www.registration.ge) რეგისტრანტის უფლებამოსილი წარმომამდგენლის მიერ შევსებული განაცხადით მოთხოვნილი ინტერნეტდომენური სახელის **moa.ge** რეგისტრანტისათვის წინამდებარე ხელშეკრულების, "GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობებისა" დანართი N1 (როგორც ეს გამოქვეყნებულია საიტზე www.registration.ge) და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის N3 დადგენილების ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის შესაბამისად, დროებით სარგებლობაში გადაცემა. შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე 10' მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. (CPV დანაყოფი - 72400000, კოდი – 72417000 – დომენური სახელები).

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა შეადგენს 2017 წლის 29 სექტემბრიდან 2018 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

2.2. ხელშეკურლება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმებებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 3. ღირებულება და გადახდის წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული ერთი ინტერნეტ-დომენური სახელების სარგებლობაში გადაცემისათვის განსაზღვრული ყოველწლიური ღირებულება შეადგენს 30,00 ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2.ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მოწოდებულ მომსახურებაზე ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშფაქტურაში/ინვოისში მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუ-მენტი.

3.4.ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.5. ანგარიშსწორება მიმწოდებლთან განხორციელდება ლარებში.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. რეგისტრანტს უფლება აქვს:

მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (IT სპეციალისტი) გურამ გაბაიძე.

4.2. რეგისტრანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და შეასრულოს GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები (www.registration.ge);

ბ) ყოველწლიურად, დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა;

გ) მიაწოდოს ადმინისტრატორს სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია (www.registration.ge);

დ) არ დაუშვას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ინტერნეტდომენური სახელით დარეგისტრირებულ ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება;

ე) არ დაუშვას მის მიერ ვებგვედრზე (www.registration.ge) რეგისტრაციის დროს მითითებული სახელისა და პაროლის გადაცემა მესამე პირებზე;

ვ) წინამდებარე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ იმოქმედოს სხვა (მესამე) პირ(ებ)ის დავალებით ან სასარგებლოდ.

4.3. ადმინისტრატორს უფლება აქვს: მოსთხოვოს რეგისტრანტს წინამდებარე ხელშეკრულებითა და GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.4. ადმინისტრატორი ვალდებულია:

ა) გაუწიოს რეგისტრანტს კონსულტაცია დომენური სახელის რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება დომენური სახელის რეგისტრაციასა ან რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობების დაცვით (www.registration.ge);

გ) უზრუნველყოს რეგისტრანტის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

მუხლი 5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1. ადმინისტრატორი არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ რეგისტრანტის სარეგისტრაციო მონაცემების (ვებგვედრზე (www.registration.ge)) ნებისმიერი სახით გამოყენებაზე. რეგისტრანტისათვის ცნობილია, რომ ვებგვერდზე www.registration.ge შექმნილი პროფილიდან შევსებული განაცხადი, ან ნებისმიერი ხასიათის სხვა მოთხოვნა მხარეებისათვის წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რის საფუძველზეც მხარეთა შორის წარმოიშობა მოთხოვნის შესაბამისი ვალდებულებები.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილი ნებისმიერი ხასიათის შეტყობინება ან მოთხოვნა მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს შეტყობინების ან მოთხოვნის რეგისტრანტის მიერ ვებგვერდზე საკუთარ პროფილში მითითებულ საკონტაქტო რეკვიზიტებზე, მობილურის ნომერზე ტექსტური შეტყობინების, ფაქსის ან ელფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში გაგზავნის დროს, ხოლო ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში ფოსტაში განთავსებიდან მე-5 დღეს.

5.3. თუ ადმინისტრატორის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადები, მაშინ მას ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა

მოუწოდებელი მომსახურების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4. ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ადმინისტრატორს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების ადმინისტრატორის მიერ შეუსრულებლობის გამო, რეგისტრანტის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ადმინისტრატორს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

5.6. ადმინისტრატორი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე და წარუდგინოს რეგიტსრანტს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალების დედანი ან ბანკის მიერ დამოწმებული ასლი).

5.7. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ადმინისტრატორი უფლებამისილია დააკისროს რეგისტრანტს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით. ასეთი უფლებით ადმინისტრატორმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

6.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

6.1.1. მხარეთა შეთანხმება;

6.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. მუხლით დაწესებული ვადის გასვლა.

6.1.3. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

6.2.1. ხელშეკრულების დანართი N1 „GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობების" 1.11 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პირობის დადგომა.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დამკვეთს შეუძლია ერთჯერადად მიმართოს შპს "კავკასუს ონლაინის" დავების განმხილველ სამსახურს, რომელიც, არის მისი შიდა ფუნქციური ორგანო.

7.3. ნებისმიერ დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი შეთანხმებიდან, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულებიდან ანდა შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებაზე, თუ ეს

გამოწვეულია გაფიცვების, ომის, წყალდიდობის, ხანძრის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად.

მუხლი 9. ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თოთოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ოპირი ადმინისტრატორთან და ორი პირი რეგისტრანტთან).

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

9.3. ხელშეკრულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

9.4. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

9.5. ხელშეკრულებას თან ერთვის GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობები, რომელიც ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9.6. ხელშეკრულებას შეიძლება თან ერთვოდეს დოკუმენტები, რომელიც დაკავშირებულია მასთან და ასევე წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (რეგისტრანტის მიერ ვებგვერდზე www.registration.ge შევსებული ელ. განაცხადი დომენური სახელის რეგისტრაციაზე). ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, მხარეებმა საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ზემოთმითითებულ დღესა და წელს გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ადმინისტრატორი:
შპს "კავკასუს ონლაინი"
ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 160
ტელეფონი: 2970037
ს/კ: 211380833
ს/რ: სს თიბისი ბანკი
ა/ა GE59TB0600000100467052,
ბ/კ: TBCBGE22

რეგისტრანტი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ქ. ბათუმი, აკ. მამია კომახიძის ქ. №119
ს/კ: 245428265

ია ფერაძე
.ge დომენის ადმინისტრატორი

ავთანდილ მესხიძე
მინისტრი

GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობები

ტერმინთა განმარტება

დომენური სახელი - სახელი, რომელიც ეკუთვნის ერთადერთ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს და ახდენს მის იდენტიფიცირებას და განსხვავებას სხვათაგან;

მოთხოვნა - დომენური სახელის რეგისტრაციისათვის ადმინისტრატორის ვებ-გვერდზე www.registration.ge ელექტრონული განაცხადის გაგზავნა;

ადმინისტრატორი – GE დომენის მენეჯერი/ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილია გასცეს და უზრუნველყოს GE ზონაში დომენური სახელ(ებ)ის რეგისტრაცია;

რეგისტრანტი – GE ზონაში რეგისტრირებული დომენური სახელის მქონე პირი;

გადაცემა – ადმინისტრატორის მიერ რეგისტრანტის სახელზე დომენური სახელის გამოყენებაზე უფლების გადაცემა;

მეორე დონის დომენური სახელი - .ge დაბოლოების მქონე დომენი - domain.ge

ზოგადი ტიპის დომენური სახელი - .org.ge, .com.ge, .edu.ge, .pvt.ge, .net.ge დაბოლოების მქონე დომენი.

დაუშვებელ პროდუქცია - ელექტორნული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილიმწამებლური, შეურაცმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.

1. დომენური სახელის რეგისტრაციის წესები

1.1. GE-ზონაში რეგისტრაციისათვის გამოყოფილი დომენების პრეფიქსები:

*.ge - ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისთვის და ფიზიკური პირისთვის;

*.com.ge (generic) - მხოლოდ კომერციული ორგანიზაციებისათვის;

*.edu.ge (generic) - მხოლოდ საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;

*.org.ge (generic) - მხოლოდ არაკომერციული ორგანიზაციებისათვის;

*.net.ge (generic) - მხოლოდ ორგანიზიციებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ქსელების პროვაიდერებს ან მათი საქმიანობა დაკავშირებულია ელექტრონული კომუკაციების სფეროსთან;

*.pvt.ge (generic) - მხოლოდ კერძო პირებისათვის.

1.2. დომენური სახელში გამოსაყენებლად დასაშვები სიმბოლოები:

ა) ლათინური ანბანის ასოები;

ბ) ციფრები;

გ) დეფისი.

1.2.1. დეფისი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას დომენური სახელის საწყის ან საბოლოო სიმბოლოდ. დომენური სახელი უნდა შეიცავდეს, ერთ სიმბოლოზე მეტს.

რეგისტრანტი

1.3. რეგისტრანტი შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული იურიდილი პირი და ფიზიკური პირი, რომელსაც დომენური სახელით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში გააჩნია საქართველოს მოქალაქეობა ან საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება.

1.3.1. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურ პირს აღნიშნული მოქალაქეობრივი სტატუსი ეცვლება ან ჩამოერთმევა დომენური სახელით სარგებლობის ვადის ამოწურვამდე, ვალდებულია რეგისტრატორს შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე, რეგისტრატორი უფლებამოსილია შეუწყვიტოს ამ პირს დომენური სახელით ან სახელებით სარგებლობის უფლება.

1.3.2. იმ შემთხვევაში, თუ დომენური სახელით სარგებლობის ვადის ამოწურვამდე მოხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია, ადმინისტრატორი უფლებამოსილია შეუწყვიტოს ამ პირს დომენური სახელით ან სახელებით სარგებლობის უფლება.

1.4. იურიდიულ პირს, რომელსაც არ გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმომადგენლობა, უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მეშვეობით დაარეგისტრიროს დომენური სახელ(ებ)ი.

1.5. დომენური სახელის და მისი ადმინისტრირების უფლება არ წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის საგანს. აკრძალულია დომენური სახელის გაჩუქება, გაქირავება და ა.შ.

1.6. მოთხოვნა დომენური სახელის რეგისტრაციაზე არ დაკმაყოფილდება თუ:

ა) იგი შეიცავს უცენზურო ან სხვაგვარად შეურაცხმყოფელ ლექსიკას;

ბ) რეგისტრანტი არ იცავს ამ დოკუმენტით გათვალისიწნებულ წესებსა და პირობებს;

1.7. რეგისტრანტი პასუხისმგებელია მის მიერ ვებ-გვერდზე რეეგისტრაციისას მითითებული საკონტაქტო ინფორმაციისა და რეკვიზიტების სისწორეზე. აღნიშნული ინფორმაციის ცვლილებისას რეგისტრანტი ვალდებულია ვებ-გვერდზე რეგისტრირებულ პროფილში მოახდინოს ინფორმაციის განახლება. რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაციისა და რეკვიზიტების უზუსტობის შემთხვევაში ადმინისტრატორს უფლება აქვს გონივრული ვადით, რაც არ უნდა აღემატებოდეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს, შეაჩეროს დომენური სახელით სარგებლობის უფლება ან მიიღოს გადაწყვეტილება დომენური სახელის გაუქმების თაობაზე. ამ შემთხვევაში რეგისტრანტს არ უბრუნდება დომენური სახელის რეგისტრაციის ან დომენური სახელით სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების თანხა, ასევე არ შეიცვლება სააღრიცხვო პერიოდის დაწყებ¬ის თარიღი.

1.8. დომენური სახელის სარეგისტრაციო ინფორმაციის დადასტურების საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრატორის მოთხოვნით, რეგისტრანტი ვალდებულია წარადგინოს ვებ-გვერდზე რეგისტრაციისას მითითებული ინფორმაციის სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტი ადმინისტრატორის მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში.

1.9. ადმინისტრატორის მიერ რეგისტრანტისათვის გასაგზავნი/გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ან მოთხოვნა გაგზავნილი უნდა იქნას რეგისტრანტის მიერ ვებ-გვერდზე საკუთარ პროფილში მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე, რომლის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება რეგისტრანს. შეტყობინება ან მოთხოვნა რეგისტრანტისათვის მიწოდებულად ითვლება შეტყობინების ან მოთხოვნის ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნის დროს.

1.10. წინამდებარე დოკუმენტის 1.5 პუქტით გათვალისწნებული პირობის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრატორს უფლება აქვს დაუყოვნებლივ შეაჩეროს დომენური სახელით სარგებლობის უფლება და გააუქმოს მისი რეგისტრაცია.

1.11. ადმინისტრატორს უფლება აქვს გააუქმოს რეგისტრირებული დომენური სახელი შემდეგ შემთხვევებში:

ა) რეგისტრანტის მიერ დომენის გაუქმების მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) სასამართლოს დადგენილებით;

გ) საერთაშორისო ქსელური კონსორციუმის ICANN/IANA-ს მოთხოვნით;

დ) 1.6, 1.7 და 1.8 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში.

2. დომენური სახელით სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების წესი

2.1 ადმინისტრატორის მიერ ფასიანი დომენური სახელით სარგებლობის უფლების მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა რეგისტრანტს ეგზავნება შეტყობინება აღნიშნულის შესახებ და ეცნობება, რომ მოქმედების ვადის ამოწურვამდე მომდევნო სააღრიცხვო პერიოდის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ადმინისტრატორი უფლებამოსილია შეუწყვიტოს სარგებლობის უფლება. აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნო პერიოდზე.

2.2 ადმინისტრატორის მიერ უფასო დომენური სახელით სარგებლობის უფლების მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა რეგისტრანტს ეგზავნება შეტყობინება დომენური სახელით სარგებლობის უფლების ვადის გასვლის შესახებ და იმ შემთხვევაში თუ რეგისტრანტი არ გამოხატავს ნებას დომენური სახელით სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე ადმინისტრატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს სარგებლობის უფლება. აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნო პერიოდზე.

3. დომენური სახელის გადაცემა

3.1. დომენური სახელის გადაცემა დასაშვებია:

ა) რეგისტრანტის კანონიერ მემკვიდრეზე;

ბ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით;

გ) საერთაშორისო ქსელური კონსორციუმის, ICANN/IANA-ს მოთხოვნით.

3.2. პუნქტ 3.1-ში ჩამოთვლილ შემთხვევებში დომენური სახელის გადაცემა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში რეგისტრაციის ვადა რჩება უცვლელი.

4. განაცხადის დამუშავების წესი

4.1. დომენური სახელის რეგისტრაცია ხორციელდება ვებ-მისამართზე: www.registration.ge რეგისტრანტის მიერ საკუთარი პროფილიდან დომენური სახელის რეგისტრაციის მოთხოვნაზე ელ. განაცხადის შევსების საფუძველზე.

4.2 ადმინისტრატორი დომენური სახელის დადასტურებისა ან მასზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებას რეგისტრანტს უგზავნის, დომენური სახელის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. დადასტურების შემთხვევაში დომენი აქტიურდება.

4.3. დომენური სახელის რეგისტრაციაზე ადმინისტრატორის მიერ განაცხადის დადასტურების შემდეგ, რეგისტრანტი ვალდებულია გადაიხადოს დომენური სახელით სარგებლობის საფასური. რეგისტრანტის მიერ 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადმინისტრატორი უფლებამოსილია შეაჩეროს რეგისტრაცია, ხოლო 10 კალენდარული დღის შემდეგ გააუქმოს დომენური სახელის რეგისტრაციაზე მოთხოვნა, რის შემდეგაც მოთხოვნილი დომენური სახელი თავისუფლდება.

4.4. რეგისტრანტის მიერ დომენური სახელით სარგებლობის საფასურის გადახდის შემდეგ დომენური სახელის რეგისტრაცია ითვლება დასრულებულად.

4.5 რეგისტრანტს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ხელმოწერილი ხელშეკრულება დომენური სახელით სარგებლობის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე რეგისტრანტს ან მისი უფლებამოსილი წარმოამდგენელს შეუძლია მიაკითხოს შპს „კავკასუს ონლაინი"-ს ნებისმიერ სერვის ცენტრს.

5. მომსახურების საფასური და გადახდის წესი

5.1. დომენური სახელის რეგისტრაციისა და მომსახურების ღირებულების გადახდას რეგისტრანტი ახორციელებს წინასწარი გადახდის წესით ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. დომენური სახელის რეგისტრაციისა და მომსახურების ღირებულება მოცემულია ქვემოთ მითითებულ ცხრილში

5.1.1. მეორე დონის 3 და მეტი სიმბოლოსგან შემდგარი ერთი დომენური სახელის რეგისტრაციის ან რეგისტრირებული დომენური სახელით სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების ღირებულება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში შეადგენს – 30 ლარს.

5.1.2. მეორე დონის, 2 სიმბოლოსგან შემდგარი ერთი დომენური სახელის რეგისტრაციის ან რეგისტრირებული დომენური სახელით სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების ღირებულება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში შეადგენს – 900 ლარს.

5.1.3. ზოგადი ტიპის დომენური სახელების რეგისტრაციის მომსახურებათა ღირებულება:

ერთ რეგისტრანტზე დარეგისტრირებული დომენური სახელების რაოდენობა	**ერთი დომენური სახელის რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაგრძელების ფასი წელიწადში**
1	უფასოდ
2 და მეტი	10.00 ლარი

5.1.4. ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით. ლარის კურსის ცვლილების შემთხვევაში ადმინისტრატორს უფლება აქვს შეცვალოს წინამდებარე ფასები.

5.2. რეგისტრანტის მიერ სარგებლობის უფლების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ადმინისტრატორს უფლება აქვს შეაჩეროს დომენური სახელის რეგისტრაცია ან სარგებლობის უფლება, ხოლო შეჩერებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ ადმინისტრატორს უფლება აქვს გააუქმოს რეგისტრაცია, რის შემდეგაც რეგისტრირებული დომენური სახელი თავისუფლდება.

6. ადმინისტრატორისა და რეგისტრანტის პასუხისმგებლობა

6.1.ადმინისტრატორი აწარმოებს დომენური სახელების რეგისტრაციას წინამდებარე დოკუმენტის პირობების დაცვით.

6.2. წინამდებარე დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-მისამრთზე: http://www.registration.ge დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე.

6.3. დომენური სახელის რეგისტრირებისას, ადმინისტრატორი პასუხს არ აგებს რეგისტრანტის მიერ საავტორო დასახელების და სხვა უფლებათა შესაძლო დარღვევის გამო.

6.4. ადმინისტრატორი არ აწარმოებს შემოწმებას და პასუხს არ აგებს, რეგისტრანტის მიერ:

- დომენური სახელის რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით წარდგენილი;
- ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე;
- დომენური სახელის რეგისტრაციით მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანსა და უფლებების დარღვევაზე;
- დომენური სახელის რეგისტრაციის კანონმდებლობის დარღვევით ან არაკანონიერი მიზნით გამოყენებაზე;
- მესამე პირის მიერ ვებ-გვედრზე (www.registration.ge) რეგისტრაციის დროს რეგისტრანტის მიერ მითითებული სახელისა და პაროლის გამოყენებაზე უნებართვოთ ან მართლსაწინააღმდეგოდ, რის საფუძველზეც პირდაპირი ან ირიბი ზიანი მიადგან რეგისტრანტს ან მის საქმიანობას;

6.5. ადმინისტრატორი არ გამოდის რეგისტრანტებს შორის ან რეგისტრანტსა და მესამე პირს შორის დომენური სახელის რეგისტრაციის ან გამოყენების საკითხებთან დაკავშირებულ დავათა არბიტრის როლში.

6.6. ადმინისტრატორი არ არის პასუხისმგებელი რეგისტრანტის მიერ დომენური სახელის რეგისტრაციისათვის დადგენილი პირობების შესრულებასა თუ შეუსრულებლობაზე, ასევე, რეგისტრანტის დომენური სახელის გამოყენებაზე მესამე პირის მიერ უნებართვოთ ან მართლსაწინააღმდეგოდ რის საფუძველზეც პირდაპირი ან ირიბი ზიანი მიადგეს რეგისტრანტს ან მის საქმიანობას.

6.7. ადმინისტრატორი იხსნის პასუხისმგებლობასა და აფრთხილებს რეგისტრანტს, რომ მისთვის გადაცემული დომენური სახელი, ქვემოთ მითითებულ პირობების არსებობის შემთხვევაში (და არა მარტო), შეიძლება გახდეს დავის საგანი:

ა) დომენური სახელი იდენტურია ან მსგავსია მესამე პირის მიერ დაკავებული იმ სასაქონლო ნიშნისა, რომელზეც გააჩნია კანონიერი უფლება;

ბ) დომენური სახელი გამოიყენება არაკეთილსინდისიერად;

გ) რეგისტრანტს დომენური სახელის ქვეშ განთავსებულ ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული აქვს დაუშვებელი პროდუქცია.

6.8. წინამდებარე მუხლის 6.7 პუნქტის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ადმინისტრატო აფრთხილებს რეგისტრანტს და განუსაზღვრავს დაუშვებელი პროდუქციის ინტერნეტ-გვერდიდან აღების ვადას, ხოლო რეგისტრანტის მხრიდან აღნიშნული გაფრთხილების უგულვებელყოფის შემხვევაში, ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დომენური სახელი გათიშვა.